

ეროვნული თანხმობის დეკლარაცია

2003 წლის 23 ნოემბრის მოვლენებისა და 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, შეიქმნა რეალური წინაპირობა საქართველოში ეროვნული თანხმობის სასიცოცხლო იდეების განხორციელებისა, რისთვისაც, პირველად ამ 12 წლის განმავლობაში, მოხდა თანხვედრა ხალხის ნებისა და ხელისუფლების ნებისა.

საქართველოს ხელისუფლებაც და ხალხიც გრძნობს საერთო პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავლის წინაშე, გამსჭვალულია ერთობლივი ერთგულებით დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პრინციპებისადმი; საქართველოს ხელისუფლებაც და ხალხიც მზად არის საერთო შეგნებით ემსახუროს თავისუფალი, დემოკრატიული სამოგადოების მშენებლობას, საქართველოს ერთიან და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზნებს.

ვარდების რევოლუციად ცნობილი 2003 წლის ნოემბრის მოვლენები ქართველი ხალხის ინტერესების გამოხატულება იყო, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნის ახალ ხელისუფლებას.

გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის ამ ინტერესებიდან და ეროვნული თანხმობის პრინციპებიდან, ვაცხადებ:

საქართველოში უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში განვითარებული ნეგატიური მოვლენები – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ეკონომიკის გაჩანაგება, მოსახლეობის უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, კორუფციის აყვავება, უკანონობა და განუკითხაობა, სამოქალაქო კონფრონტაცია სათავეს იღებს 1991-1992 წლების შეიარაღებული სამხედრო გადატრიალებიდან და კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია:

მიეცეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1991-1992 წლების მოვლენებს;

სრულიად წარმოჩინდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას როლი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიზმის დამკვიდრებაში. შემუშავდეს და განხორციელდეს მისი სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებები;

გამოცხადდეს ამნისტია 1991-1992 წლების მოვლენების მიზეზებით, შევარდნაძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური შეუთავსებლობის ნიადაგზე დაპირისპირებულთა, პატიმართა და ძებნილთა მიმართ;

თანხმობის კომისიის საქმიანობა გაეროცელდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებზე. ქვეყანაში ერთიანი სამართლებრივი სივრცის აღდგენის საკითხებზე.

საქართველოს ხელისუფლება ქართველ ხალხს აღუთქვამს, რომ შექმნის ყოველნაირ სამართლებრივ და მორალურ საფუძველს, რათა ერთად, თანხმობით განვაშტეტოთ დემოკრატიული სისტემა და ავაშენოთ ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი საქართველო.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

